




ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების
ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა
2020-2021



Mayors for
Economic Growth

2019 წელი

მერების მიმართვა

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების საერთო მიზანს მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს. ჩვენ კარგად გვესმის ყველა ის გამოწვევა, რომლის წინაშეც ეს პროცესი დგას. ვფიქრობთ, რომ ერთობლივი ძალისხმევით უნდა გავაუმჯობესოთ ადგილობრივი ბიზნესგარემო და ხელი შევუწყოთ დასაქმების ზრდას, შევამციროთ მიგრაციის მასშტაბები და შევქმნათ ხელსაყრელი პირობები ახალი ინვესტიციების მოსაზიდად, განვავითაროთ ტურიზმი, აგროსექტორი და მომსახურების მიმწოდებელი სფეროები. გავიზიაროთ ამ მიმართულებით არსებული გამოცდილება და უპირატესად ვიზრუნოთ ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე.

ევროინტეგრაციის პროცესს დიდი გავლენა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე. ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულება და მიმდინარე რეფორმები, მყარ საფუძველს გვაძევს ვიფიქროთ, რომ ჩვენ თავს გავართმევთ სირთულეებს და კონკურენტუნარიანები გავხდებით. შედეგების მიღწევას პარტნიორული პრინციპების დამკვიდრებით ვგეგმავთ, კერძო სექტორთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ჩვენთვის დიდი პასუხისმგებლობაა ევროკავშირის ინიციატივაში - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ჩართვა, რომლის ფარგლებშიც მომზადდა ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომელიც ბიზნესისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობას ითვალისწინებს და პარტნიორულ საწყისებზეა შექმნილი. მისი მიზანია ასევე, გახდეს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის საფუძველი. ამიტომაც, მზადყოფნას ვაცხადებთ გავიზიაროთ ევროპული გამოცდილება და ვიმედოვნებთ, რომ მოკლე პერიოდში მივაღწევთ ისეთ პოზიტიურ შედეგებს, როგორიცაა: საკუთარი შესაძლებლობების უკეთ დანახვა და ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენა და გადაწყვეტილებების მიღება დადებითი ცვლილებების მოსახდენად, განვითარებაზე ორიენტირებული ქმედებების განხორციელება.

დასახული მიზნების რეალიზაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტად აღნიშნული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმას მივიჩნევთ.

აღსანიშნავია, რომ გეგმის შემუშავების და განხილვის პროცესებში აქტიურად იყვნენ ჩართულები როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, ისე ბიზნესი და არასამთავრობო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება, აჭარის არ-ის მთავრობა და მისი სტრუქტურული ერთეულები, რაც დაგეგმილი პროექტების ერთობლივად განხორციელების ვალდებულებებშიც გამოიხატა. ამისთვის მათ განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ.

და ბოლოს, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების სახელით, გამოვხატავთ მზაობას, რომ როგორც პირადად, ისე მუნიციპალიტეტების გულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და სტრატეგიულ პარტნიორებთან ერთად, მხარს დავუჭერთ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმით განსაზღვრული ყველა აქტივობის და ღონისძიების ეფექტურ განხორციელებას, რათა ჩვენი მუნიციპალიტეტები გახდეს საცხოვრებლად, ტურისტულად და ბიზნესის კეთებისთვის მიმზიდველი როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ვიზიტორებისთვის და ინვესტორებისთვის.

პატივისცემით,

ლევან გორგილაძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ფრიდონ ფუტყარაძე

შუახევის მუნიციპალიტეტის მერი

ვახტანგ ბერიძე

ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

1. მოკლე შეჯამება

ქედა, შუახვეი და ხულო, საქართველოს მაღალმთიანი ისტორიულ-გეოგრაფიული დასახლებები და მომიჯნავე მუნიციპალიტეტები. მათ საერთო საზღვრების გარდა, ბათუმი-ახალციხის სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზა აკავშირებთ, რომელიც გოდერძის უღელტეხილის გავლით, უმოკლესი მანძილით აკავშირებს საქართველოს სამხრეთ რეგიონებს აჭარასთან, ბათუმის საზღვაო პორტთან, შავიზღვისპირეთის კურორტებთან და სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტთან.

მაღალმთიანი აჭარის მუნიციპალიტეტებს შორის კავშირების გაძლიერება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ახალი ურთიერთობების განვითარება მაღალმთიან დასახლებებს ეკონომიკის ზრდის ახალ შესაძლებლობებს შეუქმნის.

აჭარა ის ადგილია, სადაც ზღვა და მთის ღირსესანიშნაობები ერთიან კომპლექსში განიხილება. შესაბამისად, ქედის, შუახვეისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურაში, გარდა სოფლის მეურნეობის ტრადიციული მიმართულებებისა, ტურიზმის ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად იზრდება. 2018 წ.-ს ვიზიტორების რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა ქედის (+12%), შუახვეის (+26%) და ხულოს (+31%) ტურისტულ მარშრუტებზე, ვითარდება და შენდება გოდერძის და გომარდულის სამთო კურორტები. შესაბამისად, იზრდება ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობაც. ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურაში ასევე მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სოფლის მეურნეობას და აგროსექტორს, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილია თვითდასაქმებული.

ეკონომიკური განვითარების ხელშეშლელ ფაქტორებს წარმოადგენს: მუნიციპალიტეტებში სივრცით-ტერიტორიული განვითარების დოკუმენტაციის არარსებობა, სამუშაო ადგილების სიმცირე, მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად მიგრაციის მზარდი პროცესი, გარემოსდაცვითი პრობლემები, მიწის რეფორმის მიმართულებით არსებული ხარვეზები, დაურეგისტრირებელი საკუთრებები და მცირემიწიანობა, გარე პოზიციონირების მცირე მასშტაბები, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ადგილობრივი შემოსავლების სიმცირე, სამეწარმეო უნარ-ჩვევების დაბალი დონე, ინფრასტრუქტურული, განსაკუთრებით კი ერთიანი კომუნალური ინფრასტრუქტურის პრობლემების არსებობა, გლობალურ საინფორმაციო ქსელზე ხელმისაწვდომობის პრობლემები, სოფლების გაზიფიცირება, სერვისების ნაკლებობა.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საფრთხეებს წარმოადგენს ასევე გლობალური ეკონომიკური რყევები და კრიზისები, ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა და კლიმატური პირობების ცვლილებები.

დაინტერესებულ მხარეებთან ერთად შემუშავებული ხედვის მიხედვით, ქედის, შუახვეისა და ხულოს მუნიციპალიტეტები იქნება სამთო და სასოფლო ტურიზმის, აგროსექტორისა და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ადგილი, მიმზიდველი ტურისტული, საინვესტიციო და საცხოვრებელი გარემოთი.

მუნიციპალიტეტების საშუალოვადიან მიზნებს წარმოადგენს: ტურიზმის პოტენციალის ზრდა, აგროსექტორის განვითარება, მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა და შესაბამისი გარემოს ფორმირება.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, ქედის, შუახვეისა და ხულოს მუნიციპალიტეტები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამტავრობო უწყებებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად გეგმავენ:

- ✓ საზიარო (გარდამავალი) ტურისტული მარშრუტის შექმნას, ე.წ. „ჩანჩქერების მარშრუტს“, შესაბამისი ინფრასტრუქტურით;
- ✓ ტურიზმის ინტერაქტიური რუქის შექმნას;
- ✓ აგრარული ექსტენციის მიწოდებას, სწავლებას და გამოცდილების გაზიარებას ფერმერებისთვის და აგრომეწარმეებისთვის;
- ✓ სადემონსტრაციო და ენერგოეფექტური ეკოსოფლების მოწყობას;
- ✓ ბიზნეს-გრანტებს ადგილობრივი მეწარმეებისთვის;
- ✓ პლატფორმის ჩამოყალიბებას ბიზნესმენებისთვის და კერძო-საჯარო დიალოგის ხელშეწყობას.

მერების მიმართვა.....	2
1. მოკლე შეჯამება.....	3
1.1. აბრევიატურები:.....	6
გეგმის შესავალი.....	6
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი.....	7
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი.....	8
6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი.....	8
ცხრილი 1. რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა აჭარის არ-ის მუნიციპალიტეტების მიხედვით 2019 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით.....	9
6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და საკომუნიკაციო ქსელის აწყობა.....	11
6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია.....	12
6.4. წვდომა ფინანსებზე.....	13
6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა.....	14
6.6. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები.....	15
6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი. ინკლუზიურობა.....	16
6.8. საგარეო პოზიციონირება და მარკეტინგი.....	17
7. SWOT ანალიზი.....	18
8. ხედვა და მიზნები.....	20
9. სამოქმედო გეგმა.....	21
10. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები.....	26
12. დანართები.....	29
დანართი 1. ქედის, ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტების მერების შეხვედრის ოქმი, ერთობლივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების თაობაზე.....	29
დანართი 3. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ამსახველი ოქმები.....	35
დანართი 4. ადგილობრივი პარტნიორობა.....	52
დანართი 6. შუახევის მუნიციპალიტეტში მოქმედი საწარმოები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2019 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით.....	54
დანართი 7. ხულოს მუნიციპალიტეტში მოქმედი საწარმოები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2019 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით.....	55
დანართი 8 აჭარის ა.რ.-ის ტერიტორიაზე კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები.....	56
მუნიციპალიტეტების მიხედვით.....	56

დანართი 9 . ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში მოქმედი საბანკო და საფინანსო დაწესებულებები.....	57
დანართი 10 . ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობები და შემოსავლები 2018- 2019 წ.წ.-ებში	58
დანართი 11. ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტის ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში (ლარი) 2018-2019 წ.წ.....	59
დანართი 12 . დასაქმება	61
დანართი 13. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის სამუშაო პროცესის ამსახველი ფოტომასალები.....	65
დანართი 14. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი	67

1.1. აბრევიატურები:

M4EG	-	მერები ეკონომიკური ზრდისთვის
LED	-	ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება
HoReCa	-	სასტუმრო, რესტორანი, კვება
SWOT ანალიზი	-	ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი
არ	-	ავტონომიური რესპუბლიკა
ა(ა)იპ	-	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
სსიპ	-	საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გეგმის შესავალი

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტები ინიციატივას - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ 2017 წლიდან ეტაპობრივად შეუერთდნენ. ისინი მიზნად ისახავენ: პარტნიორულ საწყისებზე უზრუნველყონ მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ერთობლივი ძალისხმევით შექმნან ადგილობრივი ბიზნეს გარემოსთვის ხელშემწყობი პირობები, გაზარდონ დასაქმება, გააფართოონ სკუთარი შესაძლებლობები, განავითარონ ტექნიკური უნარები და მიაღწიონ მდგრად ეკონომიკურ ზრდას. ასევე ისარგებლონ როგორც სახელმწიფოს, ისე დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. მუნიციპალიტეტებისთვის ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ამ მიმართულებით დასახული მიზნების მიღწევის რეალური შესაძლებლობაა.

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი დასახლებებია, რომელთა საერთო ფართობია 1750 კმ² (მათ შორის: ქედა - 452 კმ², შუახევი - 588 კმ², ხულო - 710 კმ²), რაც აჭარის ტერიტორიის (2900 კმ²) 60%-ს შეადგენს. მოსახლეობის რიცხოვნობის თვალსაზრისით კი, ამ მუნიციპალიტეტებში აჭარის მოსახლეობის (349 000 კაცი) მხოლოდ 16,5% ცხოვრობს. 2019 წ.-ის 1 იანვრის მდგომარეობით, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა - 16.809, შუახევის - 15.102, ხულოს კი - 25.902 კაცია.

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების სოფლების უმეტესობა მდინარეების ხეობებშია განლაგებული. განსახლების ძირითადი ზონა კი ზღვის დონიდან 600-1600 მ-ის ფარგლებშია.

მუნიციპალიტეტებში უმუშევრობის კოეფიციენტი საშუალოდ დაახლოებით 10-12 %-ს შეესაბამება წლების მიხედვით. მოსახლეობის უმრავლესობა თვითდასაქმებულია. გარდა კერძო სექტორისა და თვითდასაქმებისა, ძირითადი დამსაქმებელია საჯარო სექტორი (მუნიციპალიტეტების მერია და საკრებულო, განათლების, ჯანდაცვის დაწესებულებები, სამართალდამცავი ორგანოები და ა.შ.). აღურიცხავია შრომითი მიგრანტების რაოდენობა. მოსახლეობის დაახლოებით 20% სხვადასხვა რეგიონში, სეზონურად კი მეზობელ თურქეთის რესპუბლიკაში მუშაობს. შეინიშნება ასევე მოსახლეობის შიდა მიგრაციული ნაკადებიც.

დოკუმენტი თანხვედრაშია: საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან „საქართველო 2020“, 2018-2021 წ.წ.-ების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020-2022 წ.წ.-ების პრიორიტეტებთან, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი განვითარების სტრატეგიულ გეგმებთან.

წინამდებარე მულტიმუნიციპალური ტიპის დოკუმენტი შემუშავებულია უშუალოდ „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის სტრუქტურისა და შინაარსის შესადგენად შემოთავაზებული სპეციალური რეკომენდაციების მიხედვით. აქედან გამომდინარე, იგი განსხვავდება აქამდე მუნიციპალიტეტებში არსებული გეგმებისა და სტრატეგიებისაგან და ორიენტირებულია ქედის, შუახევისა და ხულოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთო მიზნებზე.

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, დამტკიცების შემდგომ სავალდებულო სახელმძღვანელო გახდება მუნიციპალიტეტებისათვის, რის საფუძველზეც მოხდება

შესაბამისი სამოქმედო ღონისძიებების ასახვა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში. ამდენად, გეგმა რეალისტური, მიღწევადი და ბიუჯეტთან თანხვედრაში იქნება.

LED გეგმის შემუშავებისათვის სპეციალურად, სამივე მუნიციპალიტეტის მერების ინიციატივით შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაშიც როგორც მუნიციპალიტეტის, ისე ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორების წარმომადგენლები ჩაერთვნენ. გეგმის შემუშავების პროცესში ჩამოყალიბდა პარტნიორული ურთიერთობები დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული სექტორების ჩართულობა შენარჩუნებული და უზრუნველყოფილი იქნება გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებშიც. გეგმაში საერთო მიზნების მისაღწევად გათვალისწინებული აქტივობების ნაწილი დაფინანსდება ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან, ნაწილი - აჭარის არ-ის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან. ასევე, აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის არ სავაჭრო სამრეწველო პალატის, აჭარის არ დასაქმების სააგენტოს, აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების, საავტომობილო გზების დეპარტამენტების მხრიდან. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტები იმედოვნებენ, რომ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში ჩაერთვებიან საერთაშორისო დონორიორგანიზაციები და საფინანსო ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტები ინტენსიურად იმუშავენ.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ქედის, შუახევისა და ხულოსადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ერთობლივი გეგმის შემუშავებისას ფუძემდებელი იყო საერთო ეკონომიკური ინტერესები და გადაკვეთის წერტილები წარმომადგენდა, რაც მაღალმთიან აჭარას ოდითგანვე აერთიანებდა და დღესაც აქტუალურია. იდეის ინიციატორებისთვის მნიშვნელოვანი იყო განვითარების საერთო ხედვის და ხაზის ჩამოყალიბება და ამ პროცესში რაც შეიძლება მეტი დაინტერესებული მხარის, პარტნიორის და მხარდამჭერის ჩართვა. ამისათვის, თითოეულ მუნიციპალიტეტში შეიქმნა 4-4 წევრისგან შემდგარი LED ჯგუფები (2 - მერიის, 1 - ბიზნესის და 1 - არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი). სამუშაო ჯგუფის წევრად მოიწვიეს შესაბამისი გამოცდილების მქონე ექსპერტი არასამთავრობო სექტორიდან, რომელსაც წლების განმავლობაში სხვადასხვა სტრატეგიისა და ეკონომიკური განვითარების დოკუმენტის შემუშავებაში აქვს მონაწილეობა მიღებული. პარალელურ რეჟიმში, შეიქმნა დაინტერესებული პირებით დაკომპლექტებული სტრატეგიული პარტნიორობა. სამოქმედო გეგმაზე მუშაობისას, სამუშაო ჯგუფები გაერთიანდნენ და ერთობლივი გადაწყვეტილებების შედეგად ჩამოაყალიბეს ხედვა, მიზნები და აქტივობები. ასევე აღსანიშნავია, რომ „დამგეგმავი პარტნიორების“ წრე გაცილებით ფართო იყო. დაგეგმვის პროცესის დაწყებამდე შედგა შეხვედრები ყველა იმ მხარესთან, რომლებიც პირდაპირ, თუ ირიბ ზემოქმედებას მოახდენდნენ აღნიშნული ეკონომიკური განვითარების დოკუმენტზე, მონაწილეობას მიიღებდნენ და აქტიურ ზეგავლენას მოახდენენ მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ გეგმაზე.

პროცესში ჩართულები იყვნენ: 1. აჭარის არ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; 2. აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო; 3. აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი; 4. აჭარის არ დასაქმების სააგენტო; 5. აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატა; 6. საგანმანათლებლო დაწესებულებები; 7. ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები; 8. აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებები (ამაგ-ებ); 9. მუნიციპალიტეტების ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (ლაგ-ები). პროექტს აქტიურად უჭერდა მხარს აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატა და მასთან არსებული ბიზნეს-ასოციაციები, რომელთა მხარდაჭერით პროცესში ჩართული იყო ბიზნეს-სექტორი.

ქედის, შუახევისა და ხულოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადების პროცესში ჩატარდა 15 შეხვედრა, ამათგან 2 შეხვედრა ჩატარდა სამუშაო ჯგუფებთან, 2 - ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან (სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ბიზნეს ასოციაციებთან), 11 შეხვედრა - პარტნიორ და დაინტერესებულ მხარეებთან, დაკავშირებულ საჯარო სტრუქტურებთან (მუნიციპალიტეტების მერიებთან, აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან, აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, აჭარის არ ტურიზმის დეპარტამენტთან, აჭარის არ დასაქმების სააგენტოსთან, აჭარის არ გზების დეპარტამენტთან). ადგილობრივი ეკონომიკისა და გეგმის

თემატური ბლოკების განხილვის, გამოწვევებისა და პერსპექტივების შეფასების, SWOT ანალიზის, ხედვისა და მიზნების, სამოქმედო გეგმის შედგენისა და მათი მხრიდან შესაბამისი უკუკავშირის დადგენისათვის. დოკუმენტი ცალკე განხილვებად იქნა გადაგზავნილი მუნიციპალიტეტების მერების მრჩეველთა საბჭოებთან, ადგილობრივი განვითარების ჯგუფებთან (LAG), რომლის შემადგენლობაშიც შედიან მეწარმე იურიდიული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერიებთან. 1 შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

პარალელურ რეჟიმში, მიმდინარეობდა კომუნიკაცია სამუშაო ჯგუფის წევრებსა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს შორის ინფორმაციის დამუშავებისა და კორექტირებისათვის. მსგავსი შეხვედრების შემდეგ ხშირი იყო კომუნიკაცია, სატელეფონო და ელექტრონულად ინფორმაციის გაცვლა ადგილობრივ ექსპერტსა და სამუშაო ჯგუფების სხვა წარმომადგენლებს შორის, ასევე ყველა დაინტერესებულ მხარესთან. განსაკუთრებული კოორდინირებულობით გამოირჩეოდა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი. გამომდინარე იქედან, რომ გეგმა მულტიმუნიციპალურია და მასში 3 მუნიციპალიტეტის საერთო ინტერესები და მიზნებია გათვალისწინებული, აქტივობების დაგეგმვის ეტაპებში პასუხისმგებელ მხარეებად იყო ჩართული სამივე მუნიციპალიტეტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, სამინისტროები თუ დეპარტამენტები. ყველა ზემოთ დასახელებულ დაინტერესებულ, მხარდამჭერ და მონაწილე მხარეს, განსახილველად გადაეგზავნა გეგმის პროექტი, დამატებითი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების წარმოდგენის მიზნით.

მიუხედავად მუნიციპალიტეტებში ამ კუთხით აქამდე არსებული გამოცდილებისა, საჯარო-კერძო დიალოგის პრაქტიკა ახალ საფეხურზე და ფაზაში გადავიდა. მხარეებმა გაითავისეს, რომ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმები პლურალიზმის საფუძველზე უნდა შემუშავდეს და პროცესი არ უნდა იყოს ერთგვარადი. მათ გამოხატეს მზადყოფნა, რომ ყოველწლიურად, საკუთარი ძალებით განაახლებენ წინამდებარე დოკუმენტს და მაქსიმალურად ასახავენ მასში იმ პერიოდისათვის არსებულ გამოწვევებს და შესაძლებლობებს, რაც პროექტის სამომავლო მდგრადობის გარანტი გახდება. ურთიერთთანამშრომლობის, პასუხისმგებლობების დელეგირებისა და გადანაწილების მიზნით დაგეგმილი აქტივობები დეტალურად გაიწერა და ჩამოყალიბდა სამოქმედო გეგმაში.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკის წილი ქვეყნის მასშტაბით მიხერხულია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივ ეკონომიკაშიც დომინანტის როლი ბათუმს უჭირავს.


საქართველოს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებში მწირია ინფორმაციები მუნიციპალიტეტების ჭრილში, სტატისტიკის ეროვნული სამსახური ბაზებს ძირითადად გამსხვილებული მონაცემებით, რეგიონულ ჭრილში გვთავაზობს.

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, 2017 წლის მონაცემებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი მშპ 3367.2 მლნ ლარია, 1 სულ მოსახლეზე მშპ 3894.1 აშშ დოლარი, დასაქმებულთა რაოდენობა 166 500 კაცია, აქედან ბიზნეს სექტორში - 70 100, მთლიანი მოცულობის 42 %. 2018 წ.-ის მონაცემებით, უმუშევრობის დონე 9.1 %-ს შეადგენს და საქართველოში 748677 ბიზნეს სუბიექტია რეგისტრირებული, აქედან აჭარაში - 66 336, ანუ მთლიანი რაოდენობის 8.9 %.

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მიხედვით რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ასახულია ცხრილი 1-ში.

ცხრილი 1.რეგისტრირებულ ორგანიზაციათა რაოდენობა აჭარის არ-ის მუნიციპალიტეტების მიხედვით 2019 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით

მუნიციპალიტეტის დასახელება	რეგისტრირებული	% საქართველოს მიხედვით	% აჭარის მიხედვით	აქტიური	% საქართველოს მიხედვით	% აჭარის მიხედვით
ბათუმი	39550	5,3	59,6	10500	6,1	61,2
ქობულეთი	10270	1,4	15,5	2464	1,4	14,4
ხელვაჩაური	9955	1,3	15,0	2421	1,4	14,1
ქედა	1923	0,3	2,9	478	0,3	2,8
შუახევი	1612	0,2	2,4	437	0,3	2,5
ხულო	3026	0,4	4,6	851	0,5	5,0
აჭარა	66336	8,9		17151	10,0	
საქართველო	748677			171939		



როგორც ცხრილის ანალიზიდან ჩანს, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს, რეგისტრირებულ და აქტიურ საწარმოთა რაოდენობების მიხედვით, საკმაოდ მცირე ხვედრითი წილი აქვთ როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის მასშტაბით.

მუნიციპალიტეტების ადგილობრივ ეკონომიკაში მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების ანალიზის საფუძველზე ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ სამეწარმეო სექტორში განსაკუთრებული აქტივობით მცირე და საშუალო ბიზნესი გამოირჩევა. მაგალითად:

- ✓ ქედის მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო საწარმოთა ხვედრითი წილი მთლიან რაოდენობაში 52%-ია, საშუალო საწარმოების - 47%, მსხვილის კი - 1%;
- ✓ შუახევის მუნიციპალიტეტში მცირე საწარმოები მთლიანი რაოდენობის 80%-ია, საშუალოსი- 15%, მსხვილის კი - 5%;
- ✓ ხულოს მუნიციპალიტეტში მცირე საწარმოების წილი 56%-ია, საშუალოსი - 40%, მსხვილის - 4%.

რაც შეეხება ადგილობრივი ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურას, ზემოთ მითითებული საწარმოების საქმიანობის პროფილების ანალიზი კარგად ასახავს უკანასკნელი წლების მიხედვით განვითარებულ მოვლენებს და როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის ადგილობრივი ეკონომიკის პრიორიტეტებს. ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებშიც უპირატესად სერვისების სფეროები ვითარდება და სამივე მუნიციპალიტეტში ლიდერობს საცალო ვაჭრობა და მომსახურება, განსაკუთრებით რესტორნები, კაფეები და სხვ. კვების დაწესებულებები. ასევე

მზარდი დინამიკით ხასიათდება სასტუმროს და განთავსების ობიექტების, მშენებლობისა და დეველოპმენტის მიმართულებები.

დეტალური ინფორმაცია საწარმოთა კლასიფიკაციის შესახებ ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით მოცემულია დანართში.

სოფლის მეურნეობა - მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მაღალმთიანეთი მცირემიწიანია და ეროზიული რისკებითაც ხასიათდება, ეკონომიკის ე.წ. ტრადიციული დარგი აქ ყოველთვის იყო სოფლის მეურნეობა. ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ფერმერებისთვის მემცენარეობა, ხოლო შუახევსა და ხულოში მეცხოველეობა ითვლებოდა საქმიანობის ერთ-ერთ მაპროფილებელ მიმართულებად.

ადგილობრივთათვის პრობლემად რჩება მიწების რეგისტრაციის საკითხი.

მუნიციპალიტეტებში ძირითადად მცირე საოჯახო და ფერმერული მეურნეობებია განვითარებული, სადაც შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილია დასაქმებული.

სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებებია: ქედაში - მეხილეობა-მებოსტნეობა, ვაზის, თამბაქოს წარმოება, სატბორე მეურნეობები და კალმახის წარმოება, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა.

შუახევში - თამბაქოს წარმოება, მეცხოველეობა, მეხილეობა-მებოსტნეობა;

ხულოში - მეცხოველეობა, კარტოფილის, კურკოვანი და კენკროვანი ხილის წარმოება.

მუნიციპალიტეტებში ასევე განვითარებულია მომთაბარე მეცხოველეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს ჯიშთგანახლების, სწავლება-კონსულტირების, ტექნიკური დახმარებების პროგრამებს. დარგის განვითარებაში აქტიურად არიან ჩართულები დონორი ორგანიზაციებიც.

ვითარდება ასევე კოოპერაციული კავშირებიც. სსიპ „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“ ელექტრონულ ბაზაში ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 15 მოქმედი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ხულოში - 14. რეგისტრირებული კოოპერატივების უმრავლესობას სტატუსი შეწყვეტილი აქვს. კოოპერატივების განვითარებას, პროგრამულად გარდა აღნიშნული სააგენტოსი, აჭარის არ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გაეროს განვითარების პროგრამა (NPARD) აფინანსებენ.

ტურიზმი - სასტუმროების და რესტორნების სექტორი წარმოადგენს ერთ-ერთ დიდ და ყველაზე მზარდ ინდუსტრიას ქედის, შუახევსა და ხულოს მუნიციპალიტეტებში. საქართველოში 2017 წელს 7,9 მილიონი საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა, სადაც 21,3% აჭარის არ-ის წილს შეადგენს. 2017 წელს 2016 წელთან შედარებით საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 4,9 %-ით გაიზარდა. კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის 55 % ტურიზმის სექტორზე მოდის, რაც აჭარის არ-ის მასშტაბით 115,789.3 EUR შეადგენს 2017 წლისათვის.

მუნიციპალიტეტებში აქტიურად ვითარდება საოჯახო ტურიზმი.

ვითარდება ასევე ახალი კურორტები და საკურორტო ადგილები. მაგ: სამთო-სათხილამურო კურორტები, შუახევის მუნიციპალიტეტში - გომარდული და ხულოში - გოდერძი. მართალია ქედას არცერთი კურორტი არ აქვს. თუმცა, აქაც მაღალია პოტენციალი და განსაკუთრებით პერსპექტიულია სასოფლო, აგრო და ეკოტურიზმის განვითარება. დამუშავებულია ტურისტული მარშრუტები ქედა, ხულო, შუახევის მიმართულებებით. სერვისების გაუმჯობესების მიზნით მოქმედებს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული სახელმწიფო პროგრამები.

აღსანიშნავია, რომ ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში ტურიზმის განვითარებას აქვს მნიშვნელოვანი წინაპირობები ავთენტური კულტურის, ისტორიული ძეგლების, ტრადიციების, კურორტებისა და საკურორტო ადგილების, სხვა რესურსების სახით.

დღეისათვის, ტურიზმი არის დარგი, რომელიც საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტებს მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული ბუნებრივი, ისტორიული, თუ კულტურული რესურსები.

თუმცა, ამ მიმართულებებით კვლავაც ბევრი პრობლემაა. კერძოდ: დაუსრულებელი სამუშაოები ბათუმი-ახალციხის ავტომაგისტრალზე, სოფლებში შიდა კომუნალური ინფრასტრუქტურის არარსებობა, საოჯახო სასტუმროების არასაკმარისი რაოდენობა და არასათანადო მომსახურების ხარისხი, ცოდნა და უნარები, ახალი ტურისტული ობიექტების ნაკლებობა და სხვ.

ინვესტიციები - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობის სიჭარბით ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტები არ გამოირჩევა. ამ ეტაპზე, მხოლოდ ერთეული მსხვილი პროექტის ჩამოთვლა არის

შესაძლებელი ამ მიმართულებით და ისიც ძირითადად ჰიდროენერგოსადგურების მშენებლობის კუთხით. აჭარის არ-ის ტერიტორიაზე კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების სტატისტიკა მუნიციპალიტეტების მიხედვით მოცემულია დანართის სახით.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მეშვეობით საჯარო და ხელმისაწვდომია ინფორმაცია სახელმწიფო ინვესტიციების თაობაზე. აჭარის არ-ის ტერიტორიაზე განხორციელებული და მიმდინარე სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების პორტფელის ღირებულებითმა მოცულობამ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 461.2 მლნ ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 46%-ით აღემატება.

სახელმწიფო საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტების ჯამური ღირებულება მუნიციპალიტეტების მიხედვით ასე ნაწილდება: ბათუმი - 63.7%(293649.4 ათასი ლარი), ქობულეთი - 12.1% (55830.2 ათასი ლარი), ხელვაჩაური - 4.9% (22648.2 ათასი ლარი), ქედა - 2.6% (11988.1 ათასი ლარი), შუახევი - 3.1% (14515.6 ათასი ლარი), ხულო - 4.5% (20695.7 ათასი ლარი) და საერთო რეგიონული - 41 849.8 ათასი ლარი.

ინვესტიციები სექტორების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია - 38.3%, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 27.9%, კეთილმოწყობის სამუშაოები - 11.1%, გარემოს დაცვა - 8.3%, წყალმომარაგებისა და წყალანირების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია - 4.2%, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა - 2.8%, დასუფთავება და ნარჩენების მართვა - 2%, სოფლად განვითარების ხელშეწყობა - 1.1% და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები - 4.3%.

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში ამჟამად ყველაზე წარმატებული სექტორებია: ვაჭრობა, მომსახურების სფერო, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, აგროსექტორი, მშენებლობა. ჩამოთვლილი მიმართულებები პრიორიტეტულად რჩება აღნიშნულ სექტორებში დასაქმებისა და ბრუნვის მზარდი ტენდენციებიდან გამომდინარე. მომსახურების სექტორი ყველაზე მეტად ადგილობრივ რესურსებსა და მომწოდებლებს ეყრდნობა, ამიტომ ზემოთ აღნიშნული მიმართულებებით ბიზნესის ხელშეწყობა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საფუძველია. მუნიციპალიტეტები გეგმავენ, რომ ერთობლივი ძალებით, აჭარის არ-ის მთავრობის და საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით, მოიზიდონ მეტი ინვესტიციები ამ სექტორებში და ხელი შეუწყონ ყველა იმ ნაკლოვანების აღმოფხვრას, რაც დღეის მდგომარეობით ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას აფერხებს.

6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და საკომუნიკაციო ქსელის აწყობა

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ძირითად პარტნიორ ორგანიზაციებს წარმოადგენენ ადგილობრივი და ქვეყნის მასშტაბით მოქმედი სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ბიზნესსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის საჯარო-კერძო დიალოგის კარგი მაგალითი გახდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ინიციატივა, რომლის მიხედვითაც პალატასთან არსებული 25 ბიზნესასოციაციის წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთვებიან როგორც ადგილობრივი განვითარების და საბიუჯეტო დაგეგმვის, ისე მონიტორინგის პროცესებში. აღნიშნულ ინიციატივას საფუძველი LED გეგმაზე მუშაობისას ჩაეყარა. სამივე მუნიციპალიტეტში არსებობს სერვისები სახელწოდებით „ქალთა ოთახები“, სადაც ქალებს შეუძლიათ უფასოდ ისარგებლონ კომპიუტერთა და ინტერნეტით, ბიბლიოთეკით, საბავშვო კუთხით, ჩაერთონ მუნიციპალურ სერვისებში და მიიღონ კონსულტაციები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება იდეა ბიზნესად აქციონ. აღნიშნული პროექტის ორგანიზატორები არიან აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, მასთან არსებული აჭარის ქალბიზნესმენთა ასოციაცია, „მცირე კავკასიის ალიანსების აჭარის პროგრამა“ და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო „მერსი ქორფსი“.

არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა სისტემატიური ხასიათისაა. სისტემატიურია კომუნიკაცია და ორმხრივი კავშირები, შეხვედრები. თუმცა, ადგილებზე, მუნიციპალიტეტებში მცირე რაოდენობით არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს.

ხულოს მუნიციპალიტეტის ძირითადი პარტნიორი ორგანიზაციებია: სენი-კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN); ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში; PMC RC; სსიპ „წარმოე საქართველოში“; ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი [LAG]; აჭარის არ რეგიონებში გასახორციელებელი პროექტების ფონდი; მუნიციპალური განვითარების ფონდი; რეგიონალური განვითარების ფონდი; აჭარის არ მთავრობა; საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და სხვ. თანამშრომლობის ყველაზე წარმატებული შედეგებია: ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში-ს ფარგლებში დაწერილი მუნიციპალური განვითარების სტრატეგია [2018-22]; CENN-ის მიერ თანამონაწილეობით შექმნილი მყარი ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა [2018-22] და სხვ. პროექტები. მნიშვნელოვანია სამომავლოდ გარემოსდაცვითი თანამშრომლობის კუთხით კავშირების გაფართოება. ერთ-ერთი პრობლემური საკითხია არალეგალური ნაგავსაყრელის დახურვა - კურორტ ბეშუმში, სოფლებში: დიდაჭარა, ტაბახმელა დიოკნისი.

შუახევის მუნიციპალიტეტის ძირითადი პარტნიორი ორგანიზაციებია: World vision Georgia, „იმედი ჰანდიკაპი, „კივიტას გეორგიკა“, თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ ინტელექტი“, „მაღალმთიანი აჭარის ახალგაზრდული კავშირი“, CENN, „ მწვანე სექტორი“. თანამშრომლობის ყველაზე წარმატებული შედეგებია: „შუახევის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012-2022“-ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“, „იმედი ჰანდიკაპი“- დღის ცენტრი. სამომავლოდ, შუახევში მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი მიმართულებების კუთხით თანამშრომლობა და ახალი კავშირები. ქედის მუნიციპალიტეტის პარტნიორი ორგანიზაციებია: CENN, ENPARD, GIZ, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“, დემოკრატიის ინსტიტუტი და სხვ.

თანამშრომლობის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევა მუნიციპალიტეტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მათ შეიძინეს დამატებითი ცოდნა და გამოცდილება, მოიძიეს დაფინანსების ახალი წყაროები და შესაძლებლობები, დაამყარეს ახალი საკომუნიკაციო ქსელები, მიეცათ ახალი იდეების რეალიზების საშუალება. ამ კუთხით, მუშაობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს. აუცილებელია ადგილობრივ მოქალაქეებს განუვითარდეთ ბიზნესის კეთების უნარები. მუნიციპალიტეტები ამისთვის მზადყოფნას გამოხატავენ. ასევე, სამომავლო გეგმებში შედის ბიზნესთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება და ამ კავშირების ინსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცევა. ნაკლებად ვხვდებით ასევე მუნიციპალიტეტებს შორის ეკონომიკური განვითარების საკითხებზე კოორდინირებული მუშაობის გამოცდილებას.

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს აქვთ როგორც ოფიციალური ვებ-გვერდები (keda.ge; shuakhevi.gov.ge; khulo.ge), ისე Facebook გვერდები. მერიების ადმინისტრაციები და შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფენ ამ გვერდებზე სიახლეების და საჯარო ინფორმაციების განთავსებას. დღეის მდგომარეობით, ამ გვერდებიდან ტექნიკური ხარვეზები აქვს მხოლოდ ხულოს ვებ-გვერდს, სადაც ზოგიერთი კატეგორია (მაგ: შექმნილი ბიუჯეტი, გამოკითხვა, ტენდერები, ხელისუფლებასთან დაკავშირება და პეტიციის დამატება) აქტიური არ არის. მუნიციპალიტეტის გვერდებზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია ბიუჯეტების, ტურიზმის გზამკვლელების შესახებ. ქედის და შუახევის გვერდებზე მოქალაქეებს ასევე შეუძიათ ელექტრონული პეტიციების შევსება და წარდგენა. ვებ გვერდიდან არის შესაძლებელი შუახევის მერთან წერილობით დაკავშირებაც.

სამოქალაქო და კერძო სექტორის მუნიციპალურ ტენდერებში და აუქციონებში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს ელექტრონულად, ვებ-გვერდების: procurement.gov.ge და eauction.gov.ge მეშვეობით. აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ვებ გვერდზე mofea.ge ასევე განთავსებულია საპრივატიზებო ობიექტთა ბაზა. სამუშაოს მაძიებელთა მომსახურებას ახორციელებს სსიპ „აჭარის დასაქმების სააგენტო“.

რაც შეეხება საჯარო-კერძო დიალოგისთვის და მოქალაქეთათვის ღია და გამჭვირვალე სერვისების მიწოდებისთვის მზაობას, ამ მხრივ მუნიციპალიტეტებში უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯებია. ყველა მუნიციპალიტეტში არის შექმნილი გენდერული თანასწორობის და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები. შუახევის მუნიციპალიტეტში ასევე ფუნქციონირებს ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭო, რომელთა მიზანია სტრუქტურული დიალოგის ხელშეწყობა. შუახევში ასევე დაგეგმილია სტრუქტურული დიალოგის კუთხით თანამშრომლობის საბჭოს შექმნა, სადაც ჩაერთვება კერძო და სახელმწიფო

სექტორი მუნიციპალიტეტის დონეზე. ქედის მუნიციპალიტეტში არის საინტერესო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, კერძო ბიზნესის განვითარებისათვის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საგრანტო კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, მერია წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე აძლევს მათ საგრანტო წერილებს, გამარჯვების შემთხვევაში სხვადასხვა ქონების გადაცემის თაობაზე. ასევე, ტურიზმის მიმართულებით გზების, გარე განათების და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის თაობაზე. ამ ფონზე, შესაძლებელია ითქვას, რომ არსებული მუნიციპალური სერვისების მიღება მარტივია, პროცესები კი ღია, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი.

სამივე მუნიციპალიტეტში აქტიურად საქმიანობენ აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებები (ამაგ-ები), ხოლო ქედასა და ხულოში, ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (ლაგ-ები), რომლებიც ჩართულები არიან თვითმმართველობის პროცესებში (<http://www.kedlag.ge/>; <http://khulolag.ge/>).

ბიზნესმენ ქალთა ხელშეწყობისათვის ყველა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს „ქალთა ოთახების“ სერვისები.

LED გეგმის შემუშავების პროცესში, მხარეებთან და ბიზნესთან შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კვლავ აქტუალურია ბიუროკრატიული ბარიერების აღმოფხვრა, სახელმწიფო პროგრამების შესახებ მეწარმეთა და მოქალაქეთა დროული და მასშტაბური ინფორმირება. მოქალაქეთა დიდი ნაწილისთვის, განსაკუთრებით მთიან სოფლებში გართულებულია ელექტრონული ფორმით ინფორმაციის მიღება ერთის მხრივ შესაბამისი უნარების და ცოდნის არქონის და მეორეს მხრივ, ინტერნეტიზაციის ხელმისაწვდომობის გამო. მეწარმეობის გავითარებას აფერხებს მიწის რეფორმის კუთხით არსებული ხარვეზები, სახელმწიფო უწყებებს შორის უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაციის და ქონების გამოიჯვანის პრობლემები, სერვისების ხელმისაწვდომობა მაღალმთიან ზონებში.

აღნიშნული მიმართულებით გამოწვევების დასაძლევად, მერიები მომავალშიც გეგმავენ აქტივობებს. მათი მიზანია კიდევ უფრო გააფართოონ სერვისების მიწოდების არეალი და განავითარონ საჯარო-კერძო დიალოგის პრაქტიკა.

6.4. წვდომა ფინანსებზე

ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში კერძო საფინანსო ინსტიტუტების და საკრედიტო დაწესებულებების სიმრავლე არ არის. ქედის მუნიციპალიტეტში ამჟამად მოქმედებს 2 საბანკო დაწესებულება და ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, გასულ წელს საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი საბანკო დაწესებულების ფილიალი დაიხურა, რამაც გარკვეული პრობლემები შეუქმნა როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ბიზნეს სექტორს. შუახევში ფუნქციონირებს 2 ბანკი, ხულოში - 7 საბანკო და საკრედიტო დაწესებულება.

გავრცელებული საბანკო პროდუქტებია: სამომხმარებლო, სახელფასო, სალომბარდე, მარტივი და იპოთეკური სესხები.

ბიზნესისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ასევე სახელმწიფო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და მუნიციპალური ბიუჯეტებიდან შესყიდვებით, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებით.

2018 წ.-ს ადგილობრივი ბიუჯეტებიდან სახელმწიფო შესყიდვების სახით გამოყოფილი იქნა: ქედაში - 6 000 000 ლარამდე თანხა, შუახევში - 8 437 683 ლარი, ხულოში - 7 000 000 მლნ ლარამდე. ეს მონაცემები მერყეობს 5-9 მლნ ლარის ფარგლებში წლების მიხედვით.

2014 წლიდან ხორციელდება სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომლის მიზანია სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და კერძო სექტორის განვითარება ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის, უძრავი ქონების უზრუნველყოფისა და საკონსულტაციო მომსახურების საშუალებით. დღემდე „აწარმოე საქართველოს“ პროექტის ფარგლებში, თითოეულ მუნიციპალიტეტში საშუალოდ 200-მდე პროექტი დაფინანსდა. დაფინანსებული მეწარმეების საქმიანობის პროფილი ძირითადად სოფლის მეურნეობა და ტურიზმი იყო.

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში ბიზნეს სუბიექტებისთვის მნიშვნელოვან დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ასევე არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტები. ამ კუთხით შესაძლებელია რამდენიმე კარგი და ეფექტური თანამშრომლობის და პარტნიორობის მაგალითის მოყვანა მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ქედის მუნიციპალიტეტში:

- ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტია „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის (ქედა ლიდერი)“. ახორციელებს ორგანიზაცია CENN, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), დემოკრატიის ინსტიტუტთან (IoD) და ავსტრიის რეგიონული კვლევებისა და სივრცითი დაგეგმარების ინსტიტუტთან (ÖIR) პარტნიორობით. პროექტის მიზნებია: ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია, ინვესტიციების მოზიდვა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის ხელშეწყობა სოფლის განვითარების თანამონაწილეობრივი, სტრატეგიული დაგეგმვის გზით;

- ევროკავშირის მხარდაჭერით ENPARD-ის პროგრამა, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით. განხორციელდა ორი ფაზა. იწყება მესამე. სხვა მიზნებთან ერთად, ითვალისწინებდა ბიზნესისთვის ქვეგრანტების კომპონენტს.

შუახვევის მუნიციპალიტეტში: 2018 წელს, Enpard 2 -ის ფარგლებში, ევროკავშირის მხარდაჭერით დაფინანსდა 3 პროექტი, ჯამში 90.000 ათასი ლარის. კერძოდ: თავისუფალი სივრცეების გახსნა სოფ.ნიგაზეულში, საოჯახო სასტუმრო და ხილის საშრობი დანადგარი.

ხულოს მუნიციპალიტეტში ევროკავშირის მხარდაჭერით მოქმედებს ENPARD-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა, რომელსაც ახორციელებს ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში PMC RC-სთან ერთად. 4 წლის განმავლობაში უნდა გაიცეს ერთი მლნ ევრო გრანტი (თანამონაწილეობის საშუალოდ 25 %-ის გარდა) საერთო ჯამში, 4 წლის განმავლობაში 1 250 000 ათასი ევრო აკუმულირდება გრანტების სახით. ამ ეტაპზე დაფინანსდა 27 პროექტი, საერთო მოცულობით 345 000 ევრო, თანამონაწილეობამ კი შეადგინა 170 000 ევრო. ჯამში განხორციელდა ნახევარ მილიონზე მეტი ევროს ინვესტიცია.

ასევე გარკვეულ ინიციატივებს აფინანსებს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი "ინტელექტი".

მუნიციპალიტეტების მასშტაბით დასაქმებასა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაზე ასევე მუშაობენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას ძირითადად ახორციელებენ არაფულადი დახმარებით, საკონსულტაციო მომსახურების გაწევის სახით.

LED გეგმაზე საკონსულტაციო შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბიზნესი პრობლემად ასახელებს ფინანსურ რესურსებზე წვდომას, როგორც განვითარების შემადგერხებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერს. უმრავლესობა, ფინანსებზე წვდომის ქვეშ საბანკო კრედიტს და პროდუქტებს გულისხმობს და არგუმენტებად ძირითადად სესხის აღების გართულებულ პროცედურები, მოთხოვნილი უზრუნველყოფის სიდიდე, საბანკო ისტორია და კაბალური საპროცენტო განაკვეთები სახელდება.

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა

აჭარის მაღალმთიანეთი, ქედის, შუახვევისა და ხულოს მუნიციპალიტეტები მცირემიწიანია. მიწის გარკვეული ნაწილი ეროზირებულია, ან საფრთხის შემცველია ამ თვალსაზრისით. მთაგორიანი რელიეფის გამო, შეზღუდულია სახნავი მიწების რაოდენობა.

ქედაში კონცენტრირებულია აჭარის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 6.9 %, სულ 5 093 ჰა. აქედან სახნავი ფართობი მხოლოდ 2 466 ჰა (48,4%), სათიბი – 311 ჰა, საძოვარი – 2172 ჰა, მრავალწლიანი ნარგავები – 344 ჰა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ძირითადად, არის ტყეები (77%), ბუჩქნარები (5,3%) და ჯერჯერობით აუთვისებელი (4%) ტერიტორიები.

შუახვევში მიწის საერთო ფართობი 58 800 ჰა-ია, აქედან: 52 ჰა მრავალწლიან ნარგავებს უჭირავს, 2290 ჰა - სათიბ მიწებს, 9723 ჰა - საძოვრებს, 36360 ჰა - ტყეს.

ხულოში 2445.7 ჰა არის სახნავი მიწა, 69.8 ჰა მრავალწლიან ნარგავებს აქვს დაკავებული, 4171 ჰა - სათიბ მიწებს, 15005 ჰა - საძოვრებს.

მუნიციპალიტეტებში მცირე საოჯახო და ფერმერული მეურნეობებშია დასაქმებული შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. პრობლემებს უკავშირდება მიწების რეგისტრაციის საკითხი.

რაც შეეხება მიწის რეფორმის მდგომარეობას: ქედაში მიწის რეფორმა ჩატარდა 1997-2007 წლებში და არსებული მასალები ინახება ქედის რაიონულ არქივში, რის საფუძველზეც საჯარო რეესტრი ახდენს მიწების და სხვა უძრავი ქონების რეგისტრაციას მოქალაქეებზე. დღემდე მიწის მესაკუთრეთა მხოლოდ 20%-ს აქვს მიწა დარეგისტრირებული.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტე პროექტის ფარგლებში მიწის სისტემური რეგისტრაცია განახორციელა დაბა შუახევში. სულ საპილოტე არეალი 132 ზლოკს მოიცავდა და რეფორმის შედეგად 2000-ზე მეტმა პირმა დაიკანონა მიწის ნაკვეთი.

მუნიციპალიტეტებში მოქმედებს ასევე თვითნებურად დაკავებულ მიწებზე საკუთრების აღიარების კომისიები, რომლებიც სისტემატიურად განიხილავენ მოქალაქეთა განცხადებებს.

მიწის რეფორმასთან დაკავშირებული პრობლემებია ხულოშიც. გართულებულია რეგისტრაცია, რადგან კანონმდებლობაში არის ხარვეზები და საჭიროებს გამოსწორებას.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროგრამებს, ამ შემთხვევაშიც დაფინანსების წყაროებს სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ბიუჯეტები წარმოადგენენ. მაგ: გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსება გზების სტატუსის მიხედვით არის გადანაწილებული ბიუჯეტებს შორის. წლების მიხედვით, ინფრასტრუქტურული ობიექტებისთვის განკუთვნილი დაფინანსების მოცულობები მზარდია.

ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში ბიზნესისთვის სპეციალური ინდუსტრიული ზონები, ან ბიზნესინკუბატორები არ ფუნქციონირებს.

2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის მიმართულებით დაგეგმილია ქედაში - 4 453 800 ლარი, შუახევში - 6 693 011 ლარი, ხულოში კი - 4 472 513 ლარის ოდენობის სამუშაოები. თანხები ძირითადად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციას და ბეტონის საფარის მოწყობას, შიდა საუბნო გზებს, გარე განათებას, სანდასუფთავებას, წყალმომარაგებას, გამწვანებას, კეთილმოწყობას ხმარდება.

2019 წ.-ს ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტში ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები მოცემულია დანართში.

LED გეგმაზე მუშაობისას, დაინტერესებული პირების მხრიდან გამოითქვა ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობის ზრდის, მუნიციპალიტეტების გაზიფიცირების და ინტერნეტიზაციის პროცესების დაჩქარების სურვილი, რაც აუცილებელ პირობებად დასახელდა ბიზნესის განვითარებისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის.

6.6. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში დღეისათვის გამოწვევას წარმოადგენს ბიზნესისა და მოქალაქეებისთვის მიწის რეგისტრაციისა და ქონების განკარგვის საკითხებში წარმოშობილი პრობლემები.

მუნიციპალიტეტებში არ არსებობს სივრცითი-ტერიტორიული მოწყობის გეგმებიც, რაც განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია.

ქონების განკარგვისას წარმოშობილი პრობლემები ხშირად იჩენს თავს ქედის მუნიციპალიტეტში. კერძოდ: ბიზნეს სექტორის ინტერესებში შემავალი ქონება, მიწა ან გამოუყენებელი შენობა ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო საკუთრებაშია. მისი რეგისტრაცია და მუნიციპალიტეტის მერიისათვის გადმოცემა ხანგრძლივი, დროში გაწელილი ბიუროკრატიული პროცესია, რის გამოც ყოვნდება მისი გასხვისება/განკარგვა საკუთრების, ან იჯარის ფორმით. ეს ხელს უშლის ბიზნეს სექტორში დაგეგმილი პროექტების განხორციელებას და სხვადასხვა საგრანტო კონკურსში მონაწილეობას, რაც თავისთავად აფერხებს ბიზნეს ორგანიზაციების და ფიზიკური პირების ბიზნეს საქმიანობას. მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობის გამო მისი უდიდესი ნაწილი დაფარულია ტყე-ბუჩქნარით და მოქცეულია ტყის ფონდში, ან დაცულ ტერიტორიებში. კერძო ფერმერული მეურნეობების და ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს ტყის ფონდიდან გარკვეული ფართობების ამორიცხვა, რათა მოხდეს ამ ფართობებზე შესაბამისი პროექტების განხორციელება. ტყის ფონდიდან ბიზნეს ინტერესში შემავალი მიწების ამორიცხვა საკმაოდ რთული პროცედურაა და ხშირად დროშია გაწელილი. აქედან გამომდინარე, დაურეგისტრირებელ მიწებზე მუნიციპალიტეტის მერია ვერ გასცემს მშენებლობის ნებართვას, რაც თავისთავად დიდ სირთულეს წარმოადგენს ბიზნესის და ფერმერული მეურნეობების განვითარებისთვის.

პრობლემების მოგვარებას ხელს უშლის მკაცრი საკანონმდებლო რეგულაციები, ამიტომ აუცილებელია შესაბამისი კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების განხორციელება, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას ცილდება.

მიწის რეგისტრაციის პრობლემები იჩენს თავს შუახევსა და ხულოშიც, რაც ასევე აფერხებს ბიზნესსაქმიანობის დაწყებას. ბევრ მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობს საქმის წარმოება, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას აფერხებს საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტების ხარვეზიანობა.

ამ პრობლემების გადასაჭრელად მუნიციპალიტეტები იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებებს. მოქმედებს მიწის აღიარების კომისიები, გასხვისება ხდება აუქციონის წესითაც. თუმცა, რიგ შემთხვევებში პრობლემის მოგვარება ცდება ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს და საჭიროა შესაბამისი სახელმწიფო უწყების ჩარევა.

გარდა ამისა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება ხორციელდება აუქციონის ფორმით. ამავე კოდექსის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების შესაძლებლობას პირდაპირი განკარგვის ფორმით ან გაცვლის ფორმით ითვალისწინებს მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის. იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ბიზნესის განვითარებასა და მუნიციპალიტეტის მიერ ინვესტიციების განხორციელებას, ასევე სოციალური, ეკონომიკური და სხვა მსგავსი მუნიციპალური პროგრამების განხორციელებას, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით ან გაცვლის ფორმით პრივატიზების შესაძლებლობა თბილისის მუნიციპალიტეტის მსგავსად მიეცეს ასევე თვითმმართველ ქალაქებს და მუნიციპალიტეტებს, რაც საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს ცენტრალურ დონეზე.

აღნიშნული პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია საქართველოს მთავრობის და პარლამენტის გადაწყვეტილებით, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ თვითმმართველობას გაამარტივოს მიწის ან სხვა ქონების გადაცემის/განკარგვის პროცედურა, გაზრდის ქვეყანაში დეცენტრალიზაციის ხარისხს და შეამცირებს ბიუროკრატიულ ბარიერებს.

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი. ინკლუზიურობა

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, შრომისუნარიანი მოსახლეობა 50-55%-ის ფარგლებშია, უმუშევრობის დონე საშუალოდ 10-12%. სამუშაო ადგილები ძირითადად შექმნილია: მომსახურების, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ვაჭრობის და საჯარო სექტორებში. სამუშაო ადგილები ძირითადად მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებშია აკუმულირებული.

პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღება ადგილზე შესაძლებელია შემდეგ სასწავლებლებში: შახევში - წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტში, სადაც სწავლება მიმდინარეობს საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიულ პროგრამებში, ხულოში - პროფესიულ კოლეჯში „ახალ ტალღა“, ქედაში - ზრდასრულთა განათლების ცენტრი, რომელიც არაფრომალურ განათლებას ემსახურება და უძღვება სასწავლო კურსებს: კომპიუტერის საოფისე პროგრამები, კომპიუტერის ტექნიკურად გამართვა და ვებ დიზაინი, მეფუტკრეობა, ხელსაქმის და სუვენირების დამზადება, ინგლისური ენა და ზოგადი უნარები, მხარეულობის შესწავლა, ბუღალტერია, სარესტორნო საქმე. პროფესიები ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზეა შერჩეული.

აჭარის ყველა მუნიციპალიტეტის მასშტაბით პროფესიული უნარების განვითარების მიმართულებით საქმიანობს აჭარის არ დასაქმების სააგენტო, რომელიც დაინტერესებულ პირებს უფასოდ თავაზობს პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებს და არეგისტრირებს სამუშაოს მაძიებელთა ბაზაში. სააგენტოს ბაზაში ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებიდან 1933 ადამიანი. მათ შორის: ქედიდან - 1027, შუახევიდან - 434, ხულოდან - 472 სამუშაოს მაძიებელი. სამუშაოს მაძიებელთა საშუალოდ 35% - 25-დან 35 წლამდე, ხოლო 50%-მდე - 35-დან 60 წლამდე ასაკისაა. რეგისტრირებულთაგან 73% კაცია.

როგორც უკვე აღინიშნა, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში განსაკუთრებით ვითარდება ტურიზმი. შესაბამისად ე.წ. HoReCa (რესტორნები-სასტუმროები-კაფეები)სექტორში პროფესიული უნარების განვითარება და ხელმისაწვდომი სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია. არის მოთხოვნა უცხოელების და კომპიუტერული პროგრამების სწავლებაზე. ასევე გასათვალისწინებელია, სოფლის მეურნეობის მიმართულებით სწავლების პროგრამები, რომელთაც აფინანსებს აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ბოლო პერიოდში, გარდა სახელმწიფო პროგრამებისა, მუნიციპალიტეტებში აქტიურად საქმიანობს არასამთავრობო სექტორი და ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა საგრანტო პროგრამას თავაზობს მეწარმეობის განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია ასევე

პროგრამების წერის ცოდნა, ბიზნესის მართვისა და სამეწარმეო უნარების განვითარება. ზოგადად, სამეწარმეო უნარ-ჩვევების, თანამედროვე მართვისა და ადმინისტრირების ცოდნის დონე დაბალია.

ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტები არ მოიცავს საზღვარგარეთ პროფესიული სტაჟირების, სწავლის დაფინანსების/თანადაფინანსების, ან სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკის პროგრამებს.

სამუშაო ადგილების სიმცირის გამო, მაღალი კვალიფიკაციის და განათლების მქონე ადგილობრივი მოსახლეობა სოფლიდან ქალაქად მიგრაციას მიმართავს.

6.8. საგარეო პოზიციონირება და მარკეტინგი

რეგიონის ტურიზმის განვითარების დონეს და მომავალს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ზღვისპირა მდებარეობასთან ერთად სამთო-საკურორტო ტურიზმი. ამჟამად, მთიანი აჭარის მუნიციპალიტეტებში, მომსახურების სფეროები, უპირატესად ტურიზმი ვითარდება. ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ დარგის პოტენციალის პოპულარიზაცია როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე. ამ მიმართულებით გარე პოზიციონირებასა და მარკეტინგში ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მთავარი მხარდაჭერი აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტია.

2017-2018 წლებში, აქტიურად განვითარდა ონლაინ მარკეტინგის მიმართულება: ინტერნეტრეკლამა განთავსდა 14 სამიზნე ქვეყანაში, სარეკლამო პლატფორმები განთავსდა ვებ-გვერდებზე: GoogleGDN, GoogleSearch, YouTube, Facebook და Instagram; შეიქმნა სახლივანოვანი ვებ-გვერდი და 12 ენოვანი LendingPage, რეგიონის მობილურიაპლიკაცია Android და iOS პლატფორმებისთვის; მზადდება რეგიონის სეზონური და საიმოჯო ვიდეო რგოლები; აჭარა 52 საერთაშორისო გამოფენასა და კონფერენციაზე იქნა წარდგენილი; ეწყობა მედიატურები, როგორც ზღვისპირეთში, ისე მთიანეთში; ვრცელდება აუდიო და ვიდეო რეკლამები როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე და სხვ.

აჭარის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო აქტიურად მუშაობს მთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტების განვითარებაზე: 2013-2018 წ.წ.-ებში მარკირებულია 15 ტურისტული მარშრუტი;

შეიქმნა მარშრუტების ინდივიდუალური რუკები, დამონტაჟდა მანიშნებლები და საინფორმაციო დაფები;

2015-2018 წ.წ.-ებში ჩატარდა 65 გაცნობითი ტური მთიანი აჭარის მარშრუტებზე ადგილობრივი ტურისტული სააგენტოებისა და გიდებისთვის; 60 ტურისტულ ობიექტზე განთავსდა საინფორმაციო სტენდები, სადაც განთავსებულია მთიანი აჭარის ტურისტული საინფორმაციო მასალა.

აჭარის მასშტაბით, მათ შორის მაღალმთიანეთში, ფუნქციონირებს 9 ტურისტული საინფორმაციო ცენტრი.

მიმდინარე წელს, ევროკავშირის ENPARD პროგრამის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის "ქედა ლიდერის" ფარგლებში დამზადდა საიმოჯო კლიპები. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან პარტნიორობით უნგრელი რეჟისორის მიერ მიმდინარეობს ვიდეო რგოლის და ფილმის გადაღება ხულოს მუნიციპალიტეტზე.

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მარკეტინგის ღონისძიებებზე მიზერული თანხები იხარჯება, უპირატესად ბროშურების, ტურისტული რუკების, სასაჩუქრე პუბლიკაციების დამზადებისთვის.

ადგილობრივი ძალებით, ტურისტების მოზიდვის და ადგილობრივი კულტურის პოპულარიზაციის თვალსაზრისით, ყოველწლიურად ტარდება როგორც ტრადიციული, ისე ახალი თემატური ფესტივალები და ღონისძიებები: ქედაში - ქედლობა/შემოდგომა ქედაში, ქედის ღვინის ფესტივალი; შუახევში - ტრადიციული სახალხო დღესასწაულები „შუამთობა“, „შუახევობა“, „ჯვარიმინდორობა“, „მარეთობა“, „ზამლეთელობა“, „ფუძეობა“ და სხვ; ხულოში - ტბელობის და სელიმობის სახალხო დღესასწაულები, ხულო-ფესტი, მრათონი მწვანე ტბაზე, სეზონის გახსნა დახურვის ღონისძიებები სამთო კურორტებზე ბეშუმსა და გოდერძზე და სხვ.

ადგილობრივი ფოლკლორული და შემოქმედებითი ჯგუფები, კულტურის პოპულარიზაციას ეწევიან საზღვარგარეთ ფესტივალებში მონაწილეობისას, თუ გასტროლებისას.

გარე პოზიციონირების კუთხით საყურადღებოა მუნიციპალიტეტების პარტნიორობა დამეგობრებულ ქალაქებთან. ქედის მუნიციპალიტეტს ტურიზმისა და კულტურის სფეროებში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, მემორანდუმი გაფორმებული აქვს უკრაინის ქალაქ კრემენეტთან, მიმდინარეობს მოლაპარაკებები პოლონურ მხარესთან, შუახევის მუნიციპალიტეტს - უკრაინის ქალაქ პოჩაევოსთან. ამ მიმართულებით მუშაობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

მუნიციპალიტეტების პოზიციონირება და მარკეტინგული აქტივობები უნდა გაგრძელდეს, რადგან ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომავალში ადგილობრივი ეკონომიკის ზრდას, ინვესტიციების მოზიდვას და ვიზიტორების მატებას.

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების იმიჯის ძლიერი მხარეებია: გეოგრაფიული მდებარეობა, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, ტურისტული ადგილების სიმრავლე, კულტურული ძეგლები და ღირსშესანიშნაობები, ადგილობრივი ტრადიციები და კულტურა. სუსტი მხარეებია: ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე, ინფრასტრუქტურის მიმართულებით არსებული ხარვეზები, არასაკმარისი ფულადი რესურსები, მცირემიწიანობა, კვალიფიციური კადრების სიმცირე, მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად მიგრაცია.

7. SWOT ანალიზი

ბოიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ზოგადი მონაცემები: - მდებარეობა ბათუმი ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ და ქალაქთან სიახლოვე; - მაღალმთიანი დასახლებების სტატუსი და შეღავათები; - კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა; - ჰიდრორესურსები; - სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები; - ტურისტული ზონები და კურორტები; - საინვესტიციო მიზიდველობა. ადგილობრივი თანამშრომლობა: - ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში საზოგადოების ჩართულობის მზარდი ხარისხი; - სამოქალაქო ინიციატივების შესაძლებლობა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მექანიზმების და პრაქტიკის არსებობა; - აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებების (ამაგი) და ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (ლაგი) ჩართულობის მაღალი ხარისხი; - არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. გამჭვირვალე ადმინისტრაცია: - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; - მუნიციპალიტეტებში ბიზნესმენ ქალთა ხელშეწყობის მიზნით „ქალთა ოთახების“ არსებობა. წვდომა ფინანსებზე: - მუნიციპალიტეტების მასშტაბით საფინანსო ინსტიტუტების არსებობა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; - დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის საგრანტო კონკურსები; - პროექტი „აწარმოე საქართველოში“. მიწა და ინფრასტრუქტურა: - შიდა და სასოფლო გზების და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროექტების მზარდი რაოდენობა. უნარები და ადამიანური კაპიტალი: - ხელმისაწვდომი განათლება. საგარეო პოზიციონირება და მარკეტინგი: - მთიანი აჭარის ცნობადობის ზრდის მიმართულებით მიმდინარე მარკეტინგული და სარეკლამო ღონისძიებები; - ფესტივალები და სახალხო დღესასწაულები.	ზოგადი მონაცემები: - ქალაქ ბათუმის ეკონომიკაზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი; - ბათუმი ახალციხის სახელმწიფო მნიშვნელობის მაგისტრალის გაქაჩურებული მშენებლობის პროცესი; - ტურისტული და სხვა სერვისების დაბალი დონე; - სამუშაო ძალის მიგრაცია სოფლიდან ქალაქად; - ახალი ტურისტული ობიექტების ნაკლებობა; - რთული, მთიანი რელიეფი. ადგილობრივი თანამშრომლობა: - სუსტი კოორდინაცია მუნიციპალიტეტებს შორის ეკონომიკური განვითარების საკითხებზე; - ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების სიმცირე; - მუნიციპალიტეტებსა და ბიზნეს სექტორს შორის ინსტიტუციური თანამშრომლობის ტრადიციების არარსებობა; - კოოპერირების დაბალი ხარისხი. გამჭვირვალე ადმინისტრაცია: - დაბალი ინფორმირებულობა ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებსა და ბიზნესის დაფინანსების შესაძლებლობებზე; - მთიანი რეგიონების ინტერნეტიზაციის პრობლემები და ადგილობრივი მოსახლეობის ელექტრონული ტიპის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და ელექტრონული სერვისებით სარგებლობის დაბალი ხარისხი. წვდომა ფინანსებზე: - საბანკო პროდუქტების ბიზნესისთვის არახელსაყრელი პირობები, მაღალი საპროცენტო განაკვეთები და უზრუნველყოფის მაღალი მოთხოვნები; - არასაკმარისი ფულადი რესურსები და ადგილობრივი შემოსავლები. მიწა და ინფრასტრუქტურა: - მცირემიწიანობა; - მიწის რეგორმის დაუსრულებლობა; - სოფლებში შიდა კომუნალური ინფრასტრუქტურის არარსებობა; - სოფლების გაზიფიცირება და ინტერნეტიზაცია. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო: - მუნიციპალიტეტებში სივრცით-ტერიტორიული განვითარების დოკუმენტაციის არარსებობა; - სხვადასხვა დონის სახელმწიფო საკუთრების ქონების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობა. უნარები და ადამიანური კაპიტალი: - სამუშაო ადგილების სიმცირე; - სამეწარმეო უნარ-ჩვევების, ასევე თანამედროვე მართვისა და ადმინისტრირების ცოდნის დაბალი დონე; - HoReCa სექტორში პროფესიული უნარების დაბალი დონე; - უცხოელების მცოდნე პერსონალის სიმცირე. საგარეო პოზიციონირება და მარკეტინგი: - ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მარკეტინგულ ღონისძიებებზე მიმართული თანხების სიმცირე; - პარტნიორი მუნიციპალიტეტების სიმცირე.
შესაძლებლობები	საფრთხეები
ზოგადი მონაცემები: - მთის კანონის ფარგლებში ბიზნესის კუთებისთვის შეღავათიანი	- ინტელექტუალური და კვალიფიციური შრომითი რესურსის გადინება; - მიგრაცია;

პირობები; - სამთო კურორტების და ახალი ტურისტული ლოკაციების განვითარება; - ინვესტიციების ზრდა ტურიზმის, აგროსექტორის და მომსახურების სფეროების მიმართულებით; - ტურისტების რაოდენობის ზრდა; - მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. ადგილობრივი თანამშრომლობა: - მუნიციპალიტეტისა და ბიზნესსექტორების თანამშრომლობის მექანიზმების დანერგვა; - საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ერთად პროექტების განხორციელება. გამჭვირვალე ადმინისტრაცია: - მუნიციპალური სერვისების სრულყოფა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ზრდით, ელექტრონული სერვისების დანერგვა; - მიწის რეფორმის დაჩქარება და ქონების გამოჯენა. წვდომა ფინანსებზე: - კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის არჩევანის შესაძლებლობების ზრდა; - ბიზნესის მხარდაჭერი სახელმწიფო პროგრამების ზრდა; - საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ხელმისაწვდომი დაფინანსების მექანიზმების ბიზნესისთვის შეთავაზების კუთხით. უნარები და ადამიანური კაპიტალი: - შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების გადამზადება; - უცხო ენების, კომპიუტერული საოფისე პროგრამების, მართვისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებებით ხელმისაწვდომი სასწავლო კურსების და ინტერესებულ პირთათვის შეთავაზება; - DCFTA შეთანხმების ფარგლებში მიმდინარე პროცესების და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ადგილობრივი ბიზნესის ინფორმირება. საგარეო პოზიციონირება და მარკეტინგი: - მთიანი აჭარის პოპულარიზაციის ზრდა, როგორც შიდა ისე გარე ბაზრებზე.	- მკაცრი კლიმატური პირობები; - მეწყერსაშიში და ეროზიული ზონები; - მცენარეთა დაავადებების და მავნებლების გავრცელების საფრთხე; - ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა; - საგარეო ეკონომიკური ფაქტორების გავლენა.
--	--

SWOT ანალიზი მოიცავს სამივე მუნიციპალიტეტის საერთო ძლიერ და სუსტ მხარეებს და მათ წინაშე არსებულ შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, ეფუძნება საერთო ეკონომიკურ სტრუქტურასა და გეგმის თემატურ ბლოკებს.

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ეკონომიკის განვითარების უმთავრეს პრობლემებად შესაძლებელია დასახელდეს: სამუშაო ძალის მიგრაცია, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ბათუმი-ახალციხის სახელმწიფო მნიშვნელობის მაგისტრალის სამუშაოების გაჭიანურება, დაუსრულებელი მიწის რეფორმა, მცირემიწიანობა, სოფლების გაზიფიცირება, ინტერნეტიზაცია, სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭირო არასათანადო უნარები, განსაკუთრებით ტურიზმის სფეროში.

მუნიციპალიტეტების გეოგრაფიული მდებარეობის, კულტურულ-ისტორიული ტრადიციების, კურორტების და ტურისტული პოტენციალის სწორი და მიზანმიმართული მარკეტინგით და რეკლამით, სავსებით რეალისტურია ტურისტების რაოდენობის ზრდის მიღწევა.

სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით, მცირე და საშუალო მეწარმეების საგრანტო პროექტების შეთავაზებით, სტარტაპ და ახალგაზრდული იდეების წახალისებით, მაქსიმალურად საჯარო და გამჭვირვალე მმართველობით შესაძლებელია ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, სამეწარმეო უნარების განვითარება და ადგილობრივ ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდა.

მიწის რეფორმის დაჩქარება, სივრცითი-ტერიტორიული დოკუმენტების შემუშავება, ქონების გამიჯვნა სახელმწიფო უწყებებს შორის, მუნიციპალური სერვისების სრულყოფა და ბიზნესთან ურთიერთობის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა/ინსტიტუციონალიზაცია ხელს შეუწყობს ბიზნესის ადგილობრივი ეკონომიკით დაინტერესების ზრდას.

განვითარების კარგი შესაძლებლობა იქნება ასევე პარტნიორული კავშირების გაფართოება და საერთო „მიზიდულობის ცენტრის“ პოვნა ეკონომიკური განვითარებისათვის, რომლის ორგანიზაც მოხდება ბიზნეს ინტერესების კონცენტრირება, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და შემცირდება მიგრაციის ტემპები.

SWOT ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საერთო ხედვა და მთავარი მიზნები, რომელთა მიხედვითაც დაიგეგმა აქტივობები და მათი განხორციელების მექანიზმები. მუნიციპალიტეტებს აერთიანებთ საერთო ტურისტული პოტენციალი, აგროსექტორის განვითარების შესაძლებლობები და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის იდეა. მათი სურვილია, შექმნან გარემო, რომელიც კომფორტული იქნება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ბიზნესისთვის, ტურისტებისა და ვიზიტორებისთვის.

8. ხედვა და მიზნები

ხედვა:

განვითარებული სამთო და სასოფლო ტურიზმი, აგროსექტორი და მცირე და საშუალო მეწარმეობა, მიზიდველ საინვესტიციო, ტურისტულ და საცხოვრებელ გარემოში.

ხედვაგრძელვადიანია და განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. დასახული მიზნების და შედეგების მიღწევას მუნიციპალიტეტები საკუთარი რესურსების გარდა, ავტონომიური რესპუბლიკის და ცენტრალური მთავრობების, ადგილობრივი კერძო და სამოქალაქო სექტორების და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით გეგმავს.

მიზნები:

- ტურიზმის პოტენციალის ზრდა;
- აგროსექტორის განვითარება;
- მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა და შესაბამისი გარემოს ფორმირება.

9. სამოქმედო გეგმა

თემატური ბლოკები	პრიტადი მიზნები	ქმედებები/ პროექტის იდები	ხანგრძლივ ობა (დაწყება/ დამთავრება)	მონაწილე პარტნიორები	სავარაუდო ღირებულებ ა (ეროვნულ ვალუტაში & ევროს ექვივალენ ტი)	მყისიერი შედეგი (პროდუქტი) ინდიკატორი და მიზნები	საბოლოო შედეგი/ ინდიკატორები და მიზნები
მიწა და ინფრასტრუქტ ურა გარე პოზიციონირებ ა და მარკეტინგი	ტურიზმის პოტენციალ ის ზრდა	საზიარო (გარდამავალი) ტურისტული მარშრუტის შექმნა	2020-2021	ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალი ტე-ტები აჭარის არ ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტ ი დონორი ორგანიზაციე ბი	972 000 GEL 300 000 EU	ქედის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტე ბის მიხედვით შექმნილია „ჩანჩქერების ტური“, განხორციელებუ ლია მარკირება, დაპროექტებული და მოწყობილია შესაბამისი ინფრასტრუქტ- ურა, მინიმუმ 3 თავშესაფარი ტურისტებისთვის .	გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის და მეწარმეების შემოსავლები, მთიანი აჭარის ცნობადობა, ვიზიტორების/ ტურისტების რიცხვი

		ტურიზმის ინტერაქტიური რუკის შექმნა	2020-2021	ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალი ტე-ტეზი აჭარის არ ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტ ი დონორი ორგანიზაციე ზი	324 000 GEL 100 000 EU	უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, არსებული ტურისტული ბაზების მიხედვით შექმნილია ტურიზმის ინტერაქტიური რუკის პლატფორმა (ვებ- გვერდის ფუნქციით, გაზრდილია მაღალმთიანი აჭარის კურორტების და ტურისტული ობიექტების მიკვლევადობის ხარისხი. თითოეული ობიექტის მიხედვით მოცემულია დეტალური ინფორმაცია (კოორდინატები, ფოტოები, მიკვლევადობა, ტრანსპორტის, სანახაობების, საკონტაქტო ინფორმაციების, განთავსების ობიექტების, შეფასებების ჩათვლით.	მთიანი აჭარის ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია გლობალურ საინფორმაციო ქსელში, Google რუკებზე. გაზრდილია ტურისტების რაოდენობა, ადგილობრივი მოსახლეობისა და მეწარმეთა შემოსავლები და მაღალმთიანი აჭარის ცნობადობა.
--	--	--	-----------	---	---------------------------	---	--

უნარები და ადამიანური კაპიტალის განვითარება	მიწა და ინფრასტრუქტურა	აგროსექტორის განვითარება	აგრარული ექსტენციის მიწოდება, სწავლება და გამოცდილების გაზიარება	2020-2021	ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტ-ტეები აჭარის არსოფლის მეურნეობის სამინისტრო დონორი ორგანიზაციები	200 000 GEL 61 728 EU	ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების სოფლებში, ფერმერებსა და აგრომეწარმეებს მიეწოდებათ ექსტენციის სერვისი. გამოცილების გაზიარების მიზნით, მათ კონსულტაციებს უწევენ და შესაბამის ცოდნას აწოდებენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ექსპერტები, ადგილზე და საზღვარგარეთ.	ჩატარებული ექსტენციის და გამოცდილების გაზიარების შედეგად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის და აგრარული მეწარმეობისა-თვის საჭირო პრაქტიკულ და თეორიულ უნარ-ჩვევებს დაუფლებული ფერმერები და აგრომეწარმეები.
---	------------------------	--------------------------	--	-----------	---	--------------------------	---	---

		სადემონსტრაცი ო და ენერგოეფექტურ ი ეკოსოფლების მოწყობა		ქედის, შუახვევის და ხულოს მუნიციპალი ტე-ტეზი აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო დონორი ორგანიზაციე ზი, ბიზნესსექტო რი	4 500 000 GEL 1 388 000 EU	ქედაში, ხულოსა და შუახვეში მოწყობილია სადემონსტრაციო სოფლები, სადაც იწარმოება ეკოლოგიურად სუფთა, ბიო პროდუქცია და შენობების გათბობა/გაგრილე ბა წარმოებს შემცირებული დანახარჯებით. არსებობს სივრცეები, სადაც ხდება სხვადასხვა სახის განახლებადი წყაროების და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დემონსტრირება, გაყიდვა და მუშაობის პირობების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.	ადგილობრივე- ბისშემოსავლებისზრდა, ტექნოლოგიებისდემონსტრირე- ბით, შესაბამისიკონსულტაციებისგაწევითდატურებისგა ყიდვით, ტურისტებისრაოდენობისზრდა, განვითარებულისერვისები.
ფინანსებზე წვდომა მარეგულირებე ლი და ინსტიტუციურ ი ჩარჩო	მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებ ის ხელშეწყობა	გრანტები ბიზნესისთვის	2020- 2021	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო დონორი ორგანიზაციე ზი	2 500 000 GEL 771 604 EU	ფერმერული მეურნეობების- თვის, კოოპერატივების- თვის, მეწარმეებისთვის გაცემულია შელავათიანი ბიზნეს- გრანტები, რომელთა მიზანია მაღალმთიან აჭარაში ბიზნესის განვითარება.	ხელმისაწვდომი ფინანსები, გაზრდილი დასაქმება, ბიზნეს-სუბიექტების რაოდენობა და შემოსავლები.

		პლატფორმა ბიზნესმენების ვის და კერძო- საჯარო დიალოგის ხელშეწყობა	2020-2021	ქედის, შუახვევის და ხულოს მუნიციპალი ტე-ტეები აჭარის არ სავაჭრო სამრეწველო პალატა დონორი ორგანიზაციე ბი	100 000 GEL 30 864 EU	შექმნილია და მოქმედებს "ღია დიალოგი"-ს პლატფორმა - სექტორული შეხვედრები ბიზნესსა და მუნიციპალიტეტს შორის არსებული პრობლემებისა და საჭიროებების გამოსავლენად ადგილობრივი ბიზნესმენები მონაწილეობენ ტრენინგებში, კონფერენციებ-ში, გაცვლით პროექტებში.	გაუმჯობესებუ-ლია ბიზნეს გარემო, გაზრდილია განხორციელებუ-ლი საინვესტიციო პროექტების რაოდენობა; აქტიური ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა; ბრუნვის ზრდა, დასაქმების ზრდა.
--	--	---	-----------	--	--------------------------	---	--

სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია მერის მიერ ხელმოწერილ წევრობის ფორმაში მოყვანილ სფეროებთან და მოიცავს შემდეგ თემატურ ბლოკებს: 1. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო; 2. უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება; 3. მიწა და ინფრასტრუქტურა; 4. წვდომა ფინანსებზე; 5. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი.სამოქმედო გეგმაში დეტალურადაა ნაჩვენები ყველა ის აქტორი, რომელიც კონკრეტული ღონისძიების განხორციელების პროცესში არის ჩართული. თითქმის ყველა აქტივობა ხორციელდება ქედის, შუახვევის და ხულოს მუნიციპალიტეტების უშუალო ჩართულობით. თუმცა,მეტწილად აქტივობების დაფინანსება მოხდება აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, მცირეა ბიზნესის თანამონაწილებაც. არის ასევე წყვეტა დაფინანსებაში. მუნიციპალიტეტები გეგმავენ შესაბამისი ფონდების და პარტნიორების მოძიებას, რათა დასახული მიზნები და აქტივობები მაქსიმალურად მარალი პროცენტით შესრულდეს.

10. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ქმედება	დაწყება-დასრულება	მოსალოდნელი შედეგები 1-6 თვე	მოსალოდნელი შედეგები 6-12 თვე	მოსალოდნელი შედეგები 12-18 თვე	მოსალოდნელი შედეგები 18-24 თვე
საზიარო (გარდამავალი) ტურისტული მარშრუტის შექმნა	2020-2021	მოძიებულია პარტნიორი დონორი ორგანიზაციები, შესყიდულია გარდამავალი მარშრუტების შექმნის პროექტი	გამოცხადებულია პროექტის განხორციელებაზე შესყიდვები და შერჩეულია გამარჯვებული კომპანიები	განხორციელებულია მარკირება, მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის სამუშაოები, ტურისტული თავშესაფრების მშენებლობა	დასრულებულია სამუშაოები. მარშრუტი ამოქმედებულია. მიმდინარეობს პიარ კამპანია ტურისტების მოსაზიდად
ტურიზმის ინტერაქტიური რუქის შექმნა	2020-2021	მომზადებულია საპროექტო წინადადება, მოძიებულია პარტნიორები და დონორი ორგანიზაციები	შერჩეულია პარტნიორი და დონორი ორგანიზაციები, წარმოებულია ინტერაქტიური რუქის შესყიდვების პროცედურები	შექმნილია რუქა და ვებ.პლატფორმა	დასრულებულია რუქის და ვებ.პლატფორმის ინსტალაცია და მიმდინარეობს რეკლამირება

აგრარული ექსტენციის მიწოდება, სწავლება და გამოცდილების გაზიარება	2020-2021	ჩატარებულია კონკურსი და გამარჯვებულ აგრარული დარგების სპეციალისტებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. მოძიებულია დონორი ორგანიზაციები უცხოელი ექსპერტების მოწვევის და საზღვარგარეთ გამოცდილების გაზიარების მიზნით მეწარმეების გასამგზავრებლად ხელშეწყობის მიზნით	საველე პრობებში ექსტენციებს ახორციელებენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები	ჩატარებულია კონკურსი და გამარჯვებულ აგრარული დარგების სპეციალისტებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. მეწამეები გაემგზავრნენ საზღვარგარეთ გამოცდილების გასაზიარებლად.	საველე პრობებში ექსტენციებს ახორციელებენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები. მეწამეები გაემგზავრნენ საზღვარგარეთ გამოცდილების გასაზიარებლად.
სადემონსტრაციო და ენერგოეფექტური ეკოსოფლების მოწყობა	2020-2021	შერჩეულია სადემონსტრაციო სოფლები. მოძიებულია დონორი და პარტნიორი ორგანიზაციები. ჩატარებულია საპროექტო წინადადებების შესაბამისი შესყიდვები.	მომზადებულია სადემონსტრაციო სოფლების შესახებ პროექტები. შესყიდულია სამუშაოები, განსაზღვრულია ვადები და სხვა პრობები და დაწყებულია სამუშაოები.	მიმდინარეობს სადემონსტრაციო ენერგოეფექტური და ეკოსოფლების მოწყობის სამუშაოები	სადემონსტრაციო ენერგოეფექტური და ეკოსოფლების მოწყობის სამუშაოები დასრულებულია. მიმდინარეობს მარკეტინგული ღონისძიებები, სოფლების პოპულარიზაციისთვის.
გრანტები ბიზნესისთვის	2020-2021	გამოცხადდა საგრანტო კონკურსები	შერჩეულია გამარჯვებულები, გაცემულია გრანტები, მიმდინარეობს მონიტორინგი	გამოცხადდა საგრანტო კონკურსები	შერჩეულია გამარჯვებულები, გაცემულია გრანტები, მიმდინარეობს მონიტორინგი

პლატფორმა ბიზნესმენებისთვის და კერძო-საჯარო დიალოგის ხელშეწყობა	2020-2021	მიმდინარეობს სავაჭრო სამრეწველო პალატასთან ერთად ბიზნესთან თემატური შეხვედრების და ტრენინგ- სემინარების დაგეგმვა	იმართება თემატური შეხვედრები ბიზნესთან და ტრენინგ- სემინარები.	იმართება თემატური შეხვედრები ბიზნესთან და ტრენინგ- სემინარები.	იმართება თემატური შეხვედრები ბიზნესთან და ტრენინგ-სემინარები.
--	-----------	---	---	---	---

გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისათვის შეიქმნება ე.წ. მონიტორინგის კომიტეტი, რომელშიც შევა ყველა იმ უწყების წარმომადგენელი, რომლებიც პასუხისმგებელია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განმახორციელებაზე. მონიტორინგის პროცესის გამჭვირვალობისათვის კომიტეტში გაერთიანებული იქნებიან სსო-ებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. მონიტორინგის პარალელურად მოხდება გეგმის განხორციელების ყოველკვარტალური და საშუალოვადიანი შედეგების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გეგმის კორექტირება.

12. დანართები

დანართი 1. ქედის, ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტების მერების შეხვედრის ოქმი, ერთობლივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების თაობაზე

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტის ფარგლებში
ქედის, შუახევისა და ხულოს ადგილობრივი
ეკონომიკური განვითარების ერთობლივი გეგმის
მომზადებასთან დაკავშირებით

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერების

შეხვედრის ჩატარების დრო:

2019 წლის 1 აგვისტო

შეხვედრის ჩატარების ადგილი:

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია

მისამართი: 6300, საქართველო, დაბა შუახევი, თამარ მეფის 30

შეხვედრის მიზანი:

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტის ფარგლებში, ქედის, შუახევისა და ხულოს ადგილობრივი

ეკონომიკური განვითარების საერთო ხედვის, პრიორიტეტების განსაზღვრისა და განხორციელების მიზნით, ერთობლივი გეგმის შემუშავება, თითოეულ მუნიციპალიტეტში შესაბამისი სამუშაო ჯგუფების შექმნა, LED პარტნიორების განსაზღვრა.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი - ლევან გორგილაძე

შუახევის მუნიციპალიტეტის მერი - ფრიდონ ფუტყარაძე

ხულოს მუნიციპალიტეტის მერი - ვახტანგ ბერიძე.

შეხვედრაზე განხილული იქნა:

1. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტის ფარგლებში, საერთო მიზნების განსაზღვრის მიზნით, ქედის, შუახევისა და ხულოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ერთობლივი გეგმის შემუშავების აუცილებლობის საკითხი;
2. ქედის, შუახევისა და ხულოს ერთობლივი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებისათვის, მუნიციპალიტეტებში სამუშაო ჯგუფების განსაზღვრა და შესაბამისი გამოცდილების მქონე ექსპერტის მოწვევა;
3. დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცესებში მონაწილეობის მისაღებად, პარტნიორების შერჩევა.

შეხვედრაზე შეთანხმდა:

1. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტის ფარგლებში შემუშავდეს ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ერთობლივი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა;

2. თითოეულ მუნიციპალიტეტში დაკომპლექტდეს სამუშაო ჯგუფები და ამ პროცესში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იქნას შესაბამისი გამოცდილების მქონე ექსპერტი;
3. განისაზღვროს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის პროცესში ჩართული პარტნიორი მხრეები;
4. შემდეგი შეხვედრა გაიმართოს სამუშაო ჯგუფებისა და პარტნიორების ჩართულობით, სადაც უნდა განისაზღვროს გეგმის შემუშავების ვადები და პროცესი.

ლევან ბერიძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერი

ფრიდონ ფუტკარაძე

შუახევის მუნიციპალიტეტის მერი

ვახტანგ ბერიძე

ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დანართი 2 ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერების წერილები სამუშაო
ჯგუფების შექმნის თაობაზე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის
მერია



GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF
ADJARA
KHULO MUNICIPALITY
CITY HALL

დაბა ხულო, ტ. აბუსერისძის ქ. N1
6500, ტელ: 7 00 72

N1 T. Abuseridze str, Region khulo
6500, Tel: 7 00 72

N 09/7581
02/08/2019

7581-09-2-201908021234



CENN დემოკრატიის ინსტიტუტის

აღმასრულებელ დირექტორს

ქალბატონ ნანა ჯანაშიას

ქალბატონო ნანა,

თქვენი მიმდინარე წლის 01 აგვისტოს მომართვის თანახმად გაცნობებთ, რომ მაღალმთიანი აჭარის, კერძოდ ხულოს, შუახევისა და ქედის ეკონომიკური განვითარების გეგმების პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში მუშაობის პროცესში და თქვენთან კოორდინაციაში ჩაერთვებიან ხულოს მუნიციპალიტეტის მერიიდან ზაზა აბულაძე - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, გურანდა აბულაძე - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

პატივისცემით,

ვახტანგ ბერიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
შუახევის მუნიციპალიტეტის მერია

GEORGIA



AVTONOMOUS REPUBLIC OF AJARA. HALL OF SHUAKHEVI MUNICIPALITY

N 07/4391
05/08/2019

4391-07-2-201908051726



CENN-ის აღმასრულებელ დირექტორს

ქალბატონ ნანა ჯანაშიას

ქალბატონო ნანა,

თქვენი 01.08.2019 წერილის #Our ref: 0-02/596 პასუხად გაცნობებთ, რომ პროექტში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ შუახევის მუნიციპალიტეტიდან სამუშაო პროცესში ჩაერთვებიან:

თამარ ხიმშიაშვილი - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის, მეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

მობ: 577-20-22-26

დავით დავითაძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი;

მობ: 599-85-20-32

ნათელა ბახტაძე - ამაგის წევრი;

მობ: 577-17-57-11

დავით დავითაძე - ბიზნესმენი.

მობ: 59105-40-75

პატივისცემით,

6300 დაბა შუახევი
თამარ მეფის ქ. №30

ტელ.: (0424) 26 00 00
ელ. ფოსტა: shuakhevig@gmail.com

ფრიდონ ფუტყარაძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა





საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქედის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
KEDA MUNICIPALITY CITY HALL



N 03/4225
05/08/2019

4225-03-2-201908051645



ორგანიზაცია CENN-ის აღმასრულებელ დირექტორს

ქალბატონ ნანა ჯანაშიას

ქალბატონო ნანა,

უპირველესად მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და პროექტის - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, თქვენი მომართვის თანახმად, ქედის ეკონომიკური განვითარების გეგმის სამუშაო ჯგუფში ქედის მუნიციპალიტეტის მერიიდან ჩაერთვებიან:

- მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე;
- პროექტის ლიდ-ოფიცერი რაულ ცინცაძე.

პატივისცემით,

ლევან გორგილაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



დანართი 3. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ამსახველი ოქმები

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტის ფარგლებში
ქედის, შუახევისა და ხულოს ადგილობრივი
ეკონომიკური განვითარების გეგმის
მომზადებასთან დაკავშირებით

შეხვედრა ქედის, შუახევისა და ხულოს სამუშაო ჯგუფებთან

შეხვედრის ჩატარების დრო:
2019 წლის 7 აგვისტო

შეხვედრის ჩატარების ადგილი:
შუახევის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: 6300, საქართველო, დაბა შუახევი, თამარ მეფის 30

შეხვედრის მიზანი:

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტის ფარგლებში, ქედის, შუახევისა და ხულოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებისა და განხილვის პროცესებში მუნიციპალიტეტებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების ფუნქციების განსაზღვრა, გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის და მაგალითების განხილვა.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქედის, შუახევისა და ხულოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული სამუშაო ჯგუფები (მონაწილეთა შესახებ მონაცემები მოცემულია დანართში);
2. ნინო გაფრინდაშვილი - პროექტის „ქედა ლიდერი“ მენეჯერი, სენი-კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)
3. ეკატერინე თარგამაძე - პროექტის ექსპერტ-კონსულტანტი

შეხვედრაზე განხილული იქნა:

1. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტის ფარგლებში, ქედის, შუახევისა და ხულოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის, მხარეების ჩართულობისა და მიმდინარე სამუშაოების გაცნობა;
2. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროექტის რეკომენდაციები ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის სტრუქტურისა და შინაარსის შესადგენად;
3. სამუშაო ჯგუფების მიერ მოსამზადებელი მასალების შინაარსის, წყაროების და ვადების განსაზღვრა.

შეხვედრაზე შეთანხმდა გეგმის თემატური ბლოკების მიხედვით შესასრულებელი სამუშაოები, განისაზღვრა პასუხისმგებელი პირები და ვადები. დაიგეგმა შემდეგი სამუშაო შეხვედრა.

ნინო გაფრინდაშვილი
პროექტის „ქედა ლიდერი“ მენეჯერი,
სენი-კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)

ეკატერინე თარგამაძე
პროექტის ექსპერტ-კონსულტანტი

შუაბევი 07.08.2019

ქედა-ხულო-შუაბევის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფების შეხვედრა

სახელი	გვარი	მუნიციპალიტეტი	სამუშაო ადგილი/თანამდებობა	საკონტაქტო ტელეფონი	ელ.ფოსტა
1	მანუჩი	შაბურთაბი	ხედი	555 259 925	A.Artemelidze.ph@gmail.com
2	ხოშიაშვილი	შაბურთაბი	ხედი	538 090 906	704a49naia42@gmail.com
3	მანუჩი	შაბურთაბი	ხედი	577 761 331	zaza1963a@icloud.com
